დადგენილება:**დ-81. 8123060001**
თარიღი:**01/03/2023**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №6

„ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 07 მარტის N 37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მარტის N 37 დადგენილებაში(www.matsne.gov.ge, 14/03/2018წ. სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.116.016422) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“

2. დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,**მუხლი 1.**

დამტკიცდეს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის დებულება (დანართი N 1)“

3. დადგენილებით დამტკიცებული დებულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით“

,,ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის დებულება“

4. დადგენილებით დამტკიცებული დებულების პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - შიდა აუდიტის სამსახური (ტექსტში შემდგომ - სამსახური) არის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს მერიის სისტემაში (ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის აღმასრულებელი ორგანოების სისტემა და თანამდებობის პირები, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირები) შიდა აუდიტის განხორციელებას“.

5. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 2. შიდა აუდიტის სამსახურის სტრუქტურა.“

6. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. შიდა აუდიტის სამსახური შედგება პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელისა (ტექსტში შემდგომ სამსახურის უფროსი) და მოხელეებისაგან.''

7. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,4. შიდა აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა თანამდებობაზე დანიშვნა-გათავისუფლებისა და სამსახურებრივი კარიერიული განვითარების წესები განისაზღვრება ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად“.

8. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ზ“ ქვეპუნქტი ამღებულ იქნეს“.

9. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნეს.“

10. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტი ამღებულ იქნეს“.

11. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,გ) მერის თანხმობის გარეშე არ გახადოს საჯარო და აუდიტორული შემოწმების შედეგები, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა“.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი